



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1003
23/05/2018

ქალაქი ბათუმი

1003-05-4-201805231554



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ფერიაში მდებარე 75 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 22.24.02.668) პრივატიზებაზე ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 12 ივლისის №09 დადგენილებით დამტკიცებული „თვითმმართველი ერთეულის-ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესი“-ს, „საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 აპრილის №28 განკარგულების, „მუნიციპალური ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 აპრილის №29 განკარგულებისა და მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსის ა. ბაჟაშვილის 2018 წლის 14 მაისის №1387-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **გზრძანებ:**

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ფერიაში მდებარე 75 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 22.24.02.668) პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ფერიაში მდებარე 75 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საწყისი საპრივატიზებო თანხა განისაზღვროს 3400 (სამიათასოთხასი) ლარის ოდენობით.

3. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/”ბე” განისაზღვროს 1020 (ათასოცი) ლარის ოდენობით.

4. „ბიჯი“ განისაზღვროს 170 (ასამოცდაათი) ლარის ოდენობით.

5. აუქციონში გამარჯვებულმა ქონების გადასახადი უნდა გადაიხადოს ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში.

6. დამტკიცდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფერიაში მდებარე 75 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის

ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზაციის შესახებ საინფორმაციო საშუალებებში განსათავსებელი სააუქციონო განცხადება (თან ერთვის).

7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ქონების მართვის განყოფილებას (ა. ბაჟაშვილი) .

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

